ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7250018

ნომერი: AR11059244

თარიღი : 26.09.2024

გაცემის თარიღი : 11.10.2024

გაცნობის თარიღი : 17.10.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნადიკვარის III ქუჩა, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ოქრომჭედლიშვილი პ/ნ 01027023322
- თბილისი ს. დიღომი ჰუგო ჰუპერტის ქ. N 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, ნადიკვარის III ქუჩა, №1-ში, შპს "ექსო გრინ სითი 1"-ს და შპს "მონოლითი პანორამა I"-ის საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადებზე სარეკლამო აბრის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 892024434942 20.09.2024 წ. , საკადასტრო კოდი № 01.18.01.002.313.01.07.501; № 882024819569 13.06.2024 წ. , საკადასტრო კოდი № 01.18.01.002.313.01.08.009 ; № 882024819572 14.06.2024 წ. , საკადასტრო კოდი № 01.18.01.002.313.01.08.010 ; № 882024819588 12.06.2024 წ. , საკადასტრო კოდი № 01.18.01.002.313.01.08.011 ; № 882024819593 12.06.2024 წ. , საკადასტრო კოდი № 01.18.01.002.313.01.08.012 ; № 892024493108 30.09.2024 წ. , საკადასტრო კოდი № 01.18.01.002.313.01.08.013 ; № 882024819688 13.06.2024 წ. , საკადასტრო კოდი № 01.18.01.002.313.01.08.014 ; № 892024343137 09.09.2024 წ. , საკადასტრო კოდი № 01.18.01.002.313.01.08.015 ; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, მესაკუთრის თანხმობა, იჯარის ხელშეკრულებები, ამონაწერები საჯარო რეესტრიდან) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, ნადიკვარის III ქუჩა, №1-ში, შპს "ექსო გრინ სითი 1"-ს და შპს "მონოლითი პანორამა I"-ის საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადებზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.